

ბესიკ სამხარაძე

ფულად-საკრედიტო გადაცემის მექანიზმი საქართველოში: სხვადასხვა გადამცემი არხის ანალიზი

სტატიაში გამოყენებულია ვექტორული ავტორეგრესიის მოდელი საქართველოში ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გადაცემის მექანიზმის შესაფასებლად.

მოდელში ძირითადი ყურადღება ეთმობა იმ არხებს, რომლებიც ითვლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანად საქართველოსათვის. კერძოდ, გარდა ტრადიციული გაცვლითი კურსის გავლენისა შესწავლილია საბანკო საპროცენტო განაკვეთის და საბანკო სესხების მოკლევადიანი გავლენა რეალურ მშპ-ზე და ინფლაციაზე.

მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ:

- საპროცენტო განაკვეთს აქვს მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ფასების დონეზე. ეს ეწინააღმდეგება სხვა გამოკვლევის შედეგებს და ხაზს უსვამს საპროცენტო განაკვეთის არხის მნიშვნელობას საქართველოსათვის. საპროცენტო განაკვეთის გავლენა ფასების დონეზე არის მცირე (დაახლ. -0.0025 სტანდარტული გადახრა), მაგრამ მყისიერი და მისი მოქმედება 3 თვის განმავლობაში გრძელდება. მეორეს მხრივ, საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა რეალურ მშპ-ზე ვერ იქნა დადასტურებული.
- გაცვლითი კურსის გავლენა მნიშვნელოვანია ინფლაციაზე გავლენის თვალსაზრისით, რაც ასევე დასტურდება სხვადასხვა გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისათვის ჩატარებულ ანალოგიურ გამოკვლევებშიც. სამომხმარებლო ფასების ინდექსი რეაგირებს გაცვლით კურსზე პირველივე თვიდან და აღწევს მაქსიმალურ ზემოქმედებას მეოთხე თვეს. მეორეს მხრივ, გაცვლითი კურსის დადებითი ეფექტი რეალურ მშპ-ზე არის უმნიშვნელო დასაჯერობის 90%-იან ინტერვალისათვის.
- საბანკო სესხების ფაქტორის მნიშვნელობა ფასებთან და რეალურ მშპ-სთან მიმართებაში მთლიანობაში ვერ იქნა დადასტურებული მოდელის შედეგებით. აღნიშნული ფაქტი შეიძლება აიხსნებოდეს საბანკო კრედიტის მცირე როლით საქართველოს ეკონომიკაში. თუმცა, სესხების დეკომპოზიციის შემდეგ ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში გაცემულ სესხებად, ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები ფასებზე სტატისტიკურად მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს.
- და ბოლოს, ზემოაღნიშნულ არხებთან ერთად შესწავლილი იქნა მონეტარული აგრეგატების გავლენა. ყველა მათგანს (M1, M2, და M3) სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა აქვს ფასებზე და მშპ-ზე. ამასთანავე, ლარში დენომინირებული დეპოზიტებს მნიშვნელოვანი ეფექტი არ გააჩნია.